



**საჯარო სამართლის იურიდიული პირი  
ეროვნული სატყეო სააგენტო  
ბ რ ძ ა ნ ე ბ ა**



KA010188538954018

13 / ივნისი / 2018 წ.  
# 503/ს

**გადმოცემული მერქნული რესურსის (წაბლის ჯიშის II; III და IV ხარისხის მრგვალი ხე-ტყე (მორი) – 13.680 მ3) საკუთრებაში გაცემის მიზნით ელექტრონული აუქციონის (N160) (5) განმეორებით გამოცხადების შესახებ**

საქართველოს მთავრობის 2010 წლის 20 აგვისტოს #242 დადგენილებით დამტკიცებული „ტყითსარგებლობის წესის“ 12-მუხლის 5-ე პუნქტის და 45-ე, 46-ე, 47-ე, 48-ე, 52-ე მუხლების, საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის მინისტრის 2016 წლის 26 დეკემბრის N50 ბრძანებით დამტკიცებული საჯარო სამართლის იურიდიული პირის - ეროვნული სატყეო სააგენტოს დებულების მე-4 მუხლის მე-4 პუნქტის „ვ“ ქვეპუნქტის, სსიპ ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს 2018 წლის 08 თებერვლის N5000748918 დასკვნის, სამეგრელო-ზემო სვანეთის სატყეო სამსახურის უფროსის 2017 წლის 01 დეკემბრის N13/56264 სამსახურებრივი ბარათისა და ტყითსარგებლობისა და რეგიონული განვითარების დეპარტამენტის უფროსის 2018 წლის 03 იანვრის N3/07, 21 თებერვლის N3618/07, 20 მარტის N5613/07 და 03 მაისის N8607/07 მოხსენებითი ბარათების საფუძველზე,

**გ ბ რ ძ ა ნ ე ბ ე:**

1. გამოცხადდეს ელექტრონული აუქციონი N160 სამეგრელო-ზემო სვანეთში, ქ.წალენჯიხის სოფ. მიქავაში დასაწყობებული, კანონმდებლობით დადგენილი წესით სააგენტოსთვის გადმოცემული მერქნული რესურსის 13.68 მ<sup>3</sup> ფოთლოვანი სახეობის (წაბლის) II; III და IV ხარისხის მერქნული რესურსის - მრგვალი ხე-ტყის (მორის) საკუთრებაში გაცემასთან დაკავშირებით.
2. აუქციონის ჩატარების პირობები და წესი, აუქციონში მონაწილე პირის ზოგადი უფლება-მოვალეობები და აუქციონის პირობები განისაზღვრება ამ ბრძანების დანართი N1 და დანართი N2-ის შესაბამისად.
3. დაევალოს სააგენტოს ტყითსარგებლობისა და რეგიონული განვითარების დეპარტამენტს (გ.ხაბეიშვილი) სსიპ საქართველოს ფინანსთა სამინისტროს მომსახურების სააგენტოს, ვებგვერდზე - [www.eauction.ge](http://www.eauction.ge) ინფორმაციის განთავსება;
4. დაევალოს სააგენტოს საფინანსო და ადმინისტრაციული საქმიანობის მართვის სამსახურს (ბ.კიწმარიშვილი) სსიპ ეროვნული სატყეო სააგენტოს, ვებგვერდზე - [www.forestry.gov.ge](http://www.forestry.gov.ge) ინფორმაციის განთავსება;
5. ეს ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს ზემდგომ ორგანოში - საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროში (ქ. თბილისი. გულუას ქ. #6) კანონმდებლობით დადგენილი წესით.

ეროვნული სატყეო სააგენტოს უფროსის  
მოადგილე

გრიგოლი ბლიაძე

